კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ აფხაზეთის მე-5 საჯარო სკოლა	ნოდარ ცაგარეიშვილი

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	აფხაზეთის მე-5 საჯარო დევნილი სკოლაა, თავისი ბიბლიოთეკის მწირი რესურსების გამო, საჭიროებს განახლებასა და გამრავალფეროვნებას. ჩვენი სკოლის ბიბლიოთეკა ამჟამად სავალალო მდგომარეობაშია — ინფრასტრუქტურა განვაახლეთ თუმცა საგნობრივი, განსაკუთრებით ფინანსურ თემებზე მიმართული, ლიტერატურა პრაქტიკულად არ არსებობს. ამ ფონზე, „ფინედუს კუთხის“ შექმნა არა მხოლოდ სივრცის გამრავალფეროვნებას და მოტივაციას შეუწყობს ხელს, არამედ გახდება ცენტრალური ადგილი ფინანსური განათლების ხელმისაწვდომობისთვის. „ფინედუს“ კუთხის დამატება მნიშვნელოვნად გაამდიდრებს სასწავლო გარემოს, გახდება მოტივაციის წყარო მოსწავლეებისთვის და ხელს შეუწყობს მათი ფინანსური აზროვნების განვითარებას. ეს ინიციატივა განამტკიცებს ფინანსური წიგნიერების კლუბის საქმიანობას და შექმნის მძლავრ საყრდენს, სადაც მოსწავლეები შეძლებენ ფინანსური განათლების საკითხებზე მუდმივი მუშაობა. ✓ დღევანდელ სამყაროში ფინანსური განათლება უკვე აუცილებელი ცხოვრებისეული უნარია. სკოლის სივრცეში „ფინედუს“ კუთხის არსებობა მოსწავლეებს საშუალებას მისცემს ადრეული ასაკიდან დაეუფლონ ფულის მართვის, დაზოგვისა და ფინანსური დაგეგმვის უნარებს. ის გახდება ყოველდღიური სასწავლო პროცესის ნაწილი და ხელს შეუწყობს მოსწავლეებში ფინანსური პასუხისმგებლობის, დამოუკიდებლობისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას. ✓ „ფინედუს“ კუთხის მასალები ინტეგრირდება სხვადასხვა საგანში — მაგალითად, მათემატიკაში ბიუჯეტის დაგეგმვის საკითხები, ქართულ ენაში ფინანსური ტერმინოლოგიის გაანალიზება და ტექსტებზე მუშაობა, ხელოვნებაში (ფინანსური კომიქსები ან ვიზუალიზაცია). ბიბლიოთეკა იქცევა პრაქტიკული ცოდნის ცენტრად, რომელიც გაამდიდრებს გაკვეთილებს, კლუბურ შეხვედრებსა და დამატებით აქტივობებს. მოსწავლეები და მასწავლებლები ისწავლიან ფინანსურ საკითხებზე ყოველდღიურ ცხოვრებასთან მიმართებაში მუშაობას, რაც გააუმჯობესებს მათ ზოგად სწავლებასა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს. შემუშავდება განგრძობითი პროექტები, როგორიცაა ფინანსური ქრონიკების კედელი, თემატური გამოფენები და სიმულაციური საბაზრო თამაშები. მოხდება მოსწავლეთა მიერ შექმნილი პროექტების გამოფენა ფინედუს კუთხეში (მაგალითად: "ჩემი ოჯახის ბიუჯეტის გეგმა"); სკოლის ვებ-გვერდზე დაემატება

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

	ცალკე სექცია ფინედუს კუთხის შესახებ; ჩატარდება სკოლაში არსებული კლუბის ლიდერების ტრენინგები, რომ მათ თვითონაც შეძლონ თანატოლების აქტიური ჩართვა და გაცვლითი შეხვედრების ჩატარება სხვა სკოლებთან. ✓ ფინანსური წიგნიერების კლუბის რეგულარული შეხვედრები, ღია გაკვეთილები, ტრენინგები და საგნობრივი ინტეგრირებული აქტივობები შექმნის ინტერაქტიულ გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს ფინედუს მასალების ყოველდღიურ გამოყენებას. მოსწავლეების ჩართულობა საკუთარი ფინანსური პროექტების შექმნაში, სიმულაციური თამაშები და თემატური კონკურსები კიდევ უფრო გაზრდის მოტივაციას. მასწავლებლები კი სისტემატურად გამოიყენებენ ფინედუს მასალებს სასწავლო პროცესში, როგორც დამატებით რესურსს მოსწავლეთა პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებლად. ასევე ფინედუს კუთხის გახსნა ხელს შეუწყობს ფინანსური განათლების სისტემურ დანერგვას სკოლის კულტურაში. მოსწავლეები ისწავლიან ფინანსურ პასუხისმგებლობაზე, გამოთვლებზე, დაგეგმვაზე და გადაწყვეტილების მიღებაზე – რაც არის არა მხოლოდ სასკოლო, არამედ ცხოვრებისეული უნარების საფუძველი.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ	
პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • **შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ.** • **განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.**
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	✓ პროექტი მიზნად ისახავს სკოლის IV–IX კლასების მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების ჩართულობას ფინანსური განათლების პროცესში.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	✓ აქტივობები ჩატარდება სკოლის ბიბლიოთეკაში და საკლასო ოთახებში. დაგეგმილია თვეში მინიმუმ ერთი ღია გაკვეთილი ან ვორქშოპი, ორი სემესტრული ინტეგრირებული პროექტი და ფინალური შემაჯამებელი ღონისძიება დეკემბერში. პროექტი არის განგრძობითი.
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური	✓ პროექტს განახორციელებს სკოლის მასწავლებელი დამოუკიდებლად, რომელიც გადამზადებულია ეროვნული ბანკის მიერ, სხვადასხვა მოდულებზე, თუმცა აქტივობებში ჩაერთვებიან სკოლის სხვა პედაგოგები (მათემატიკისა და ქართული ენის მასწავლებლები საგნობრივი ინტეგრაციისთვის) და ერთჯერადად ეროვნული ბანკის წარმომადგენელი საგანმანათლებლო შეხვედრისთვის.

მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	
პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	პროექტის მიზანია სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის შექმნით მოსწავლეთა ფინანსური წიგნიერების გაუმჯობესება. შეხვედრები მოიცავს ფინანსურ საკითხებზე დისკუსიებს, პრაქტიკულ სავარჯიშოებს და თემატურ თამაშებს: • საბანკო პროდუქტები, • ფინანსური უსაფრთხოება, • ფინანსური სიტემა და ფული, • დაზოგვის და ხარჯვის მართვა, • ბიუჯეტის შედგენა და კონტროლი, • პასუხისმგებლიანი სესხის აღება, • სურვილსა და საჭიროებებს შორის განსხვავება. გამოყენებული იქნება სიმულაციური თამაშები, პრაქტიკული ვორქშოპები, პროექტული მუშაობა და პრეზენტაციების მომზადება. პროექტში ჩაერთვება დაახლოებით 60 მოსწავლე. პროექტი არის **განგრძობითი**, რადგან მოიცავს სხვადასხვა ტიპის აქტივობების ციკლურ ჩატარებას წლის ბოლომდე.
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	მოსწავლეები უკეთ გაიაზრებენ ფინანსური გადაწყვეტილებების მნიშვნელობას, განივითარებენ ბიუჯეტირების და დაზოგვის უნარებს. პროექტის შედეგები შეფასდება: • მონაწილეთა ჩართულობის რაოდენობით, • აქტივობებზე მომზადებული ნამუშევრებით (მაგ.: ბიუჯეტის პროექტები), • უკუკავშირის კითხვარებით, • მონაწილეთა თვითშეფასების შედეგებით.
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	✓ პროექტის ინიცირება იგეგმება 2025 წლის მაისიდან და გაგრძელდება 2025 წლის დეკემბრის ბოლომდე.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ